ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599350451

N 263
26/06/2018

263-07-3-201806261417

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ, ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 25 ივნისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №10– 3(სამი) ფურცელი
დასკვნა №10– 2(ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №10

ქ.ლანჩხუთი 25.06.2018.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: იოსებ ჩხაიძე, თორკიკე ტიკაძე, გიორგი ჩახვაძე და ზურაბ კუკულავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/ მომხსენებელი: ა. მახათაძე /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/ მომხსენებელი: ა. მახათაძე /

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ციფრების დაზუსტების მიზნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის იმართება კონსულტაციები, რის გამოც მან დააყენა წინადადება, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა მოხდეს მომდევნო კომისიის

ადომაზე, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები და წარმოდგენილი საკითხი ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით გადატანილ იქნა მომდევნო კომისიის სხდომაზე განსახილველად.

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ დააყენა წინადადება, რომ წარმოდგენილ საკითხს, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას მომდევნო კომისიის სხდომაზე თან ერთვოდეს კონკრეტულად იმ პროექტების ჩამონათვალი, რომელთა დაფინანსებაც უნდა მოხდეს.

შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ უშუალოდ მუნიციპალიტეტის მერის დავალებაა, რომ ყველა სამსახურის მიერ მოწოდებული იქნას ინფორმაცია სრულყოფილად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

სხვადასხვა

-სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას დაეწერა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ "ლანჩხუთის გურიას" წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ კლუბს FIFA-ს მიერ გადმოეგზავნა წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ "ლანჩხუთის გურიას" fribunguense Atletiko clube-ის მიმართ გააჩნია 2016 წელს წარმოქმნილი დავალიანება 37 500 ევროს ოდენობით და აღნიშნულ თანხას დამატებული 5%, ასევე კლუბს გადასახდელი აქვს FIFA-ს 5000 შვეიცარული ფრანკი. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ დავალიანების დაფარვა უნდა მოხდეს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 9 ივლისისა. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ კლუბი აღნიშნულ დავალიანებას არ გადაიხდის დაეკისრება გარკვეული ტიპის სანქციები და მოიხსნება ჩემპიონატიდან.

-დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ კლუბს ძველი ვალდებულებები შეიძლება კიდევ აღმოაჩნდეს. ეს თანხა ბიუჯეტიდან გადის და აუცილებელია ვინმეს პასუხი მოეთხოვოს გასულ წლებში კლუბისთვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვისთვის, რამაც გამოიწვია ეს სიტუაცია. მერიაში შედის აუდიტის სამსახური, რომელიც ვალდებულია მერიის დაქვემდებარებაში შემავალი ყველა ა(ა)იპ-ი შეამოწმოს, დადოს შესაბამისი დასკვნა და გასცეს რეკომენდაციები, რაც როგორც სიტუაციიდან გამომდინარე იკვეთება არ შესრულებულა.

-დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ გასულ წლებში კლუბ "ლანჩხუთის გურიას" დაფინანსებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო მილიონობით თანხა. აუცილებელია აუდიტის მიერ მოხდეს შემოწმება რამდენად მიზნობრივად მოხდა თანხის ათვისება და დაიდოს შესაბამისი დასკვნა. თუ გამოიკვეთა რაიმე სახის დანაშაული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები და აუცილებლად პასუხი უნდა აგოს ყველამ.

-შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ გასულ წლებში მუნიციპალიტეტის გამგებელს არაერთხელ გაეგზავნა შიდა აუდიტისა და იურიდიული სამსახურის ერთობლივი წერილი კლუბ "ლანჩხუთის გურიას" მიერ თანხების არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით.

-სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ წარმოქმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ჩანს, რომ აღნიშნულ წერილებში მითითებული რეკომენდაციები კლუბის ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გათვალისწინებული, რომლის გამოც გარკვეული პრობლემების წინაშე დგას დღეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, რასაც დაეთანხმა კომისიის სრული შემადგენლობა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

25.06.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №10

2018 წლის 25 ივნისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი გადატანილ იქნა მომდევნო კომისიის სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.06.2018 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13⁵⁹	
2	თორნიკე ტიკაძე	13⁵⁷	
3	გიორგი ჩახვაძე	14⁰⁰	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრებოდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	არ ესწრებოდა	
6	იოსებ ჩხაიძე	13⁵⁵	
7	აკაკი იმნაიშვილი	არ ესწრებოდა	
8	ზურაბ კუკულავა	14⁰⁰	